

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და  
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს  
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი



**სატენდერო დოკუმენტაცია**

**სხვადასხვა ტიპის ავტომობილების მიმდინარე**

**შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე**

**ელექტრონული ტენდერის საშუალებით**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

**თბილისი**

**2013 წელი**

1. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის – იხილეთ ვებ – გვერდზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge):

ა) „სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა სახელმძღვანელო“;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. საკვალიფიკაციო მონაცემების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

### **2.1. იურიდიული პირებისათვის:**

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან საქართველოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

### **2.2 ფიზიკური პირებისათვის:**

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;
- გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

3. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

4. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

5. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

6. სატენდერო წინადადება, ასევე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

7. ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა არ არის დაშვებული.

8. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: პაატა ვარდიაშვილი. ტელ: 275 23 83. მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 83ა, მე-3 სართული.

## 9 ტექნიკური დავალება

9.1 სასაჯელადსრულების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების ტექნიკური მომსახურება ქალაქ ზუგდიდში (სათადარიგო ნაწილებით)

9.2 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება 5 000 (ხუთი ათასი) ლარზე, სატენდერო წინადადების ფასი კი წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართებით მოცემული საქონლისა და მომსახურების ერთეულის ფასების ჯამურ ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ფასების ცხრილებში მითითებული სავარაუდო ღირებულებებისა;

პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 19 974 (ცხრამეტიათას ცხრაასსამოცდათოთხმეტი) ლარს

ბ) ვაჭრობა გაიმართება ცხრილებში მოცემული საქონლისა და მომსახურების ერთეულის ფასების ჯამურ ღირებულებაზე;

გ) დაბალფასიანი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პირვანდელ და საბოლოო ფასებს შორის სხვაობა სატენდერო კომისიის მიერ გამოანგარიშდება პროცენტულად, რომლის მიხედვითაც დაევალება პრეტენდენტს წარმოდგინოს კორექტირებული დანართები ზემოთაღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის პროპორციულად თითოეული საქონელისა და მომსახურებისათვის.

9.3 პრეისკურანტში ავტოსტრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტოსტრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

9.3.1 ავტომობილების მიმდინარე შეკეთების მომსახურება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე უქმე დღეების ჩათვლით.

**10.0 პრეტენდენტის სატენდერო წინადადებასთან ერთად სისიტემაში ატვირთული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:**

**10.1 სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი (მომსახურება, სათადარიგო ნაწილები) ავტომობილების შესაბამისად დანართების მიხედვით.**

10.1.1 პრეტენდენტის სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების შესახებ ინფორმაცია ავტოტექნომსახურების სერვის-ცენტრის მისამართის ჩვენებით.

10.1.2 ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;

10.1.3 ინფორმაცია შეცვლილ დეტალზე საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ (არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები)

10.1.4 რეკვიზიტები დანართი №2-ის მიხედვით;

**ანგარიშსწორების პირობები:**

1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

**ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:**

არ გამოიყენება

**დაფინანსების წყარო:** სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები.

მერსედეს ბენცი 412 D 1996 წ.						
	სათადარიგო ნაწილების დასახელება	განზ	ზღვრული ერთ. ფასი	პრეტენდენტის მიერ შემოთავ. ერთ. ფასი (ლარი)	ერთეულზე მომსახურების ზღვრული ფასი	პრეტენდენტის მიერ შემოთავ. მომსახურების ფასი (ლარი)
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	55		25	
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	75		25	
3	უკანა ბარაბანი	ცალი	90		35	
4	წინა სტუპიცის პაჩებნიკი	ცალი	65		45	
5	ნახარის მილისები (რაზგაღნი ვტუღკა)	ცალი	0		0	
6	ხელის მუხრუჭის ტროსი	ცალი	90		35	
7	შარავი	ცალი	0		0	
8	გამწვევის დაბოლოება (ნაკანენიკი)	ცალი	50		15	
9	წინა ამორტიზატორი	ცალი	150		35	
10	უკანა ამორტიზატორი	ცალი	80		20	
11	ჯვარედინა	ცალი	65		35	
12	რადიატორი	ცალი	700		45	
13	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	ცალი	240		35	
14	მუხრუჭის უკანა ცილინდრი	ცალი	80		25	
15	კარდანი	ცალი	320		35	
16	უდარნი ტიაგა	ცალი	0		0	
17	საწვავის ფილტრი	ცალი	45		20	
18	ჰაერის ფილტრი	ცალი	60		5	
19	ძრავის ბალიში	ცალი	60		34	
20	გადაცემათა კოლოფის ბალიში	ცალი	60		25	
21	მშრალი ამორტიზატორი	კომპლექტი	0		0	
22	წინა ზამბარა	ცალი	80		35	

23	ძრავის ხუფის საფენი	ცალი	55		35	
24	კარტერი	ცალი	200		55	
25	სანთლები (ფარსუნკა)	ცალი	120		35	
26	თერმოსტატი	ცალი	60		30	
27	სარკველი	ცალი	25		5	
28	სარკველის ჩობალი	კომპლექტი	45		5	
29	ძრავის წინა ჩობალი	ცალი	45		54	
30	ძრავის უკანა ჩობალი	ცალი	55		88	
31	ზეთის ნასოსი	ცალი	120		34	
32	კოლექტორის საფენი	ცალი	35		35	
33	გენერატორი (დინამო)	ცალი	450		35	
34	გენერატორის ღვედი	ცალი	45		25	
35	მუხლანა ღერძი	ცალი	350		300	
36	გალოვკა	ცალი	340		300	
37	გალოვკის საფენი	ცალი	90		300	
38	წყლის ტუმბო	ცალი	120		55	
39	საწვავის ტუმბო	ცალი	700		160	
40	კარის საკეტი	ცალი	90		25	
41	საბარგულის საკეტი	ცალი	90		25	
42	უკანა საქარე მინა	ცალი	80		90	
43	წინა საქარე მინა	ცალი	240		90	
44	სტარტერი (ამძრავი)	ცალი	450		25	
45	ხმოვანი საყვირი	კომპლექტი	55		15	
46	ფეხის რადიატორი	ცალი	120		140	
47	წინა ფარი	ცალი	150		25	
48	უკანა სტოპი	ცალი	45		15	
49	საქარე მინის საწმენდი ჩოთქი	კომპლექტი	45		5	
50	წინა ფარის პალოგენი	ცალი	20		15	

51	უკანა სტოპის ნათურა	ცალი	12		10	
52	რადიატორის წყლის დაჩიკი	ცალი	45		15	
53	უკანა სველის "ლიაგუშკა"	ცალი	45		15	
54	სტარტერის ბენდექსი	ცალი	80		35	
55	წინა საყრდენი დისკო	ცალი	140		35	
56	ნახევარღერძი	ცალი	200		250	
57	ნახევარღერძის საკისარი	ცალი	60		45	
58	უკანა რედუქტორი	ცალი	600		220	
59	საჭის მექანიზმი (რულაფი)	კომპლექტი	550		120	
60	ძრავის ზეთი "სინთეტიკური"	ლიტრ	20		0	
61	ძრავის ზეთი "ნახევარსინთეტიკური"	ლიტრ	15		0	
62	ძრავის ზეთი "მინერალი"	ლიტრ	10		0	
63	ზეთის ფილტრი	ცალი	20		0	
64	ჰიდრაულიკის ზეთი	ლიტრი	20		0	
			8422		3295	
11 717						

გაზ-3307 2006 წ

№	სათადარიგო ნაწილების დასახელება	განზ	ზღვრული ერთ. ფასი	პრეტენდენტის მიერ შემოთავ ერთ. ფასი (ლარი)	ერთეულზე მომსახურების ზღვრული ფასი	პრეტენდენტის მიერ შემოთავ. მომსახურების ფასი (ლარი)
1	ხუნდი უკანა	კომპ	112		160	
2	ხუნდი წინა	კომპ	112		160	
3	ამორტიზატორი წინა	ცალი	70		10	
4	ამორტიზატორი უკანა	ცალი	70		10	
5	საწვავის ფილტრი	ცალი	7		0	
6	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	15		0	
7	საწვავის ტუმბო	ცალი	85		10	
8	მორგვის საკისარი უკანა	ცალი	70		40	
9	მორგვის საკისარი წინა	ცალი	70		40	
10	გადაბმულობის დისკო	ცალი	200		200	
11	გადაბმულობის ქურო	ცალი	350		200	
12	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	ცალი	70		200	
13	გენერატორი	ცალი	250		20	
14	გენერატორის რელე	ცალი	38		10	
15	გადაცემათა კოლოფის ჩობალი	ცალი	23		200	
16	გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში	ცალი	50		10	
17	ძრავის საყრდენი ბალიში	ცალი	50		10	
18	კარტერის საფენი	ცალი	20		80	
19	მასრის სახურავის საფენების	კომპ	40		40	
20	საჭის წევის დაბოლოება	ცალი	70		30	
21	მინის გამწმენდი რეზინი	ცალი	5		0	
22	მინსაწმენდი	კომპ	25		0	
23	კარდანი	ცალი	350		30	
24	რადიატორი (წყლის გამაგრილებელი ავზი)	ცალი	500		80	
25	რელუქტორი უკანა	ცალი	540		180	
26	რელუქტორი წინა	ცალი	540		180	
27	თერმოსტატი	ცალი	30		10	
28	სცეპლენიის ავზი	ცალი	5		0	
29	ამპრავი	ცალი	600		30	
30	საქარე მინა	ცალი	100		30	



31	ძრავის ჩობალი უკანა	ცალი	30		200	
32	ძრავის ჩობალი წინა	ცალი	20		80	
33	საჭის მექანიზმი	ცალი	1100		50	
34	წელის ტუმბო	ცალი	175		80	
35	ძრავის ზეთი "სინთეტიკური"	ლიტრ	20		0	
36	ძრავის ზეთი "ნახევარსინთეტიკური"	ლიტრ	15		0	
37	ძრავის ზეთი "მინერალი"	ლიტრ	10		0	
38	ზეთის ფილტრი	ცალი	20		0	
39	ჰიდრაულიკის ზეთი	ლიტრ	20		0	
			<b>5877</b>		<b>2380</b>	
<b>8 257 ლარი</b>						

## პროექტი

### ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში “შემსყიდველი”) მისი თავმჯდომარის მოადგილის ----- სახით და მეორე მხრივ, ----- (შემდგომში “მიმწოდებელი”) მისი ----- დირექტორის ----- სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების მიმდინარე შეკეთების მომსახურების შესყიდვა (საჭირო სათადარიგო ნაწილებით და საპოხი საშუალებებით), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის საშუალებით (CPV50100000)

#### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ----- ავტომობილების მიმდინარე შეკეთების მომსახურების შესყიდვა. ავტომობილებისა და გასაწევი მომსახურების ძირითადი ნაწილის ჩამონათვალი ერთეულის ფასების მითითებით განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული დანართი ----- (-----) ფურცლად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტების (მომსახურების) ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს ----- (-----) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

#### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას-----, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

#### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის ფაქტიური მისამართი: -----.

5.3. მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

## **6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. მომსახურების გაწევის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან 6.1. პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირები არიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი ინსპექტორი -----  
-----

## **7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

7.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიწოდებისა, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივად ხელმოწერიდან, არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## **8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად გაუწიოს ავტოტექნიკური მომსახურება შემსყიდველის კუთვნილ ავტოტრანსპორტს.

ბ) მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნაკლო.

გ) საკუთარი სახსრებით შეიძინოს და გამართოს შემსყიდველის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები ხარისხიანი სათადარიგო ავტონაწილებით.

დ) გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

ე) მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღმოფხვრა.

ვ) დაიწყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

## **9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით..

9.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაწეული მომსახურების ღირებულების 0,4 (ნოლი მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით,

9.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

## **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის -----ჩათვლით.

## **11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## **12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## **13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

13.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

13.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით მისი გამოსწორება.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი -----  
-----.

#### **14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

#### **15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **16. სხვა პირობები**

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
<p>სასჯელაღსრულების დეპარტამენტი  გორგასლის ქ. 83ა  ს/კ 204404723  საქართველოს ეროვნული ბანკი  ბ/კ 220101107  ა/ა GE24NB0330100200165022</p> <p>თავმჯდომარის მოადგილე</p>	<p>-----  -----  ს/კ -----  ს/ს „----- ბანკი”-ს -----  ბ/კ -----  ა/ა -----</p> <p>----- დირექტორი</p>
<p>_____  /შალვა ტორაძე/</p>	<p>_____  /-----/</p>

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: მობილური

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა \_\_\_\_\_